სექტორის მიმოხილვა

ვაშლის ბაზარი

2024 წელს საქართველოს მთავრობა განაგრძობდა "არასტანდარტული" (დაბალი ხარისხის) ვაშლის სუბსიდირებას. ხილის გადამამუშავებელ კომპანიებს, რომლებმაც 2024 წლის 15 დეკემბრამდე ფერმერებისგან არასტანდარტული ვაშლი შეისყიდეს კილოგრამი მინიმუმ 25 თეთრად, მთავრობისგან 10 თეთრის ოდენობის სუბსიდია მიიღეს. ვაშლის წარმოება 2023 წელს 34%-ით შემცირდა 2022 წელთან შედარებით, 76.7 ათასი ტონიდან 50.4 ათას ტონამდე. მიუხედავად 2016, 2018 და 2020 წლებში წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისა, ასეთი მატება არასტაბილური და ცვალებადი იყო.





წყარო: საქსტატი, 2024

ვაშლის წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია შიდა ქართლის რეგიონში, რომელზეც 2023 წელს მთლიანი წარმოების 71% მოდიოდა; მცხეთა-მთიანეთის წილი 8.5%-ს შეადგენდა, ხოლო ქვემო ქართლის – 7.3%-ს. ექსპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2019 წლის 2.6 ტონიდან 2020 წელს 11.4 ტონამდე, პიკს მიაღწია 2021 წელს და შემდეგ სტაბილურად მცირდებოდა. ექსპორტის ძირითადი მიმართულებაა დსთ-ის ქვეყნები, სადაც რუსეთის წილი 2019-2024 წლებში საშუალოდ 94%-ს შეადგენდა. ევროკავშირის წილი უმნიშვნელოა, საშუალოდ 1%-ის ფარგლებში, ამასთან, ამ წლების ნახევარში ევროკავშირში ექსპორტი საერთოდ არ განხორციელებულა.





წყარო: საქსტატი, 2024
*შენიშვნა: * 2024 მონაცემები მოიცავს ინვარ-ნოემბრის პერიოდს*

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

თვიურ ჭრილში, ქვეყანაში ფასების დონე 2024 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ოდნავ მეტად გაიზარდა (0.7%) ნოემბერში 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით. ამასთან, წინა თვესთან შედარებით ფასების ცვლილება სექტემბერსა და ოქტომბერშიც დადებითი იყო (0.3%).

2024 წლის სექტემბერ-ნოემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების თვიური მაჩვენებელი, გამოხატული სურსათის ფასების ინდექსით (FPI), უმნიშვნელოდ შემცირდა, რასაც მოჰყვა ზრდის ტენდენცია. სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ფასების ცვლილება -0.3% იყო, ხოლო ოქტომბერში სურსათის ფასები 0.4%-ით გაიზარდა, ნოემბერში – 2.2%-ით.





წყარო: საქსტატი, 2024; შენიშვნა: ინდექსის მნიშვნელობა წინა თვეში იყო 100

წლიურ ჭრილში, CPI ზრდას განაგრძობდა 2024 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე. ნოემბერში 2023 წლის ნოემბერთან შედარებით CPI 1.3%-ით გაიზარდა, მაშინ როცა სექტემბერში ეს მაჩვენებელი 0.6% იყო, ოქტომბერში კი – 0.3%.

2024 წლის ნოემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მცირედით, 3.1%-ით გაიზარდა; რაც მთლიანი CPI-ის ცვლილებაში 1.0 პროცენტული პუნქტით აისახა. ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ზრდამ შემდეგ ქვეჯგუფებში:



ბოსტნეული (15.5%↗)

ყავა, ჩაი და კაკაო (7.8%↗)

შაქარი, ჯემი, თაფლი, შოკოლადი და საკონდიტრო ნაწარმი (7.0%↗)

წყარო: საქსტატი, 2024

უფრო ვრცლად ფასებზე

წლიურ ჭრილში, ბოსტნეულის ქვეკატეგორიაში სურსათის ფასები მაღალი რჩებოდა 2024 წლის განმავლობაში. ნოემბერში ბოსტნეულის წლიურმა ფასმა 15.5%-ით მოიმატა, ხოლო თვიურმა – 17.9%-ით. საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის ნოემბერში წლიური ფასების კლება მხოლოდ გარკვეულ პროდუქტებზე დაფიქსირდა, კერძოდ კარტოფილსა (-14.0%) და ჭარხალზე (-1.5%). ამასთან, ფასების ზრდა აღინიშნა ბოსტნეულის უმეტესობაზე, მათ შორის მწვანილზე (85.1%), ნიორზე (62.2%), პომიდორზე (49.1%), კიტრზე (44.8%), წიწაკაზე (43.3%), ბადრიჯანზე (37.6%), კომბოსტოზე (27.6%), მწვანე ლობიოზე (22.6%), ხახვზე (7.6%), მშრალ ლობიოსა (3.2%) და სტაფილოზე (0.8%).

ფასების ზრდაზე შესაძლოა რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდეს. ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოება 2023 წლის 128.5 ათასი ტონიდან 2024 წელს 142 ათას ტონამდე გაიზარდა (10.5%-იანი ზრდა), თუმცა, 2024 წლის წარმოების ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, შესაბამისად, ის შესაძლოა წინა წელთან შედარებით ნაკლები იყოს და პოტენციურად გავლენას ახდენდეს ბოსტნეულის ფასებზე.

გარდა ამისა, 2024 წლის იანვარ-ნოემბერში ბოსტნეულის იმპორტის ღირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.2%-ით გაიზარდა. ექსპორტთან დაკავშირებით, ბოსტნეულის ექსპორტის ღირებულებაც 29.5%-ით გაიზარდა.

თუ ადგილობრივი წარმოების დონეები არ აჩვენებს კლების ტენდენციას, მოთხოვნის მხარე წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ფასების ზრდა შეიძლება მიუთითებდეს ბოსტნეულზე საერთო მოთხოვნის გაზრდაზე. ამასთან, საერთაშორისო ფასების ტენდენციებს შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს ადგილობრივ ფასებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.



წყარო: საქსტატი, 2024

საერთაშორისო ფასები

2024 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე საერთაშორისო ფასების ტენდენცია კლებიდან ზრდაზე შეიცვალა. 2024 წლის ნოემბერში სურსათის ფასების ინდექსი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მნიშვნელოვნად, 5.7%-ით გაიზარდა 2023 წლის ნოემბერთან შედარებით. წლიური ფასები გაიზარდა მცენარეული ზეთების (32.2%), რძის პროდუქტების (20.1%) და ხორცის (5.9%) ქვეინდექსებში. ამავდროულად, ფასები შემცირდა შაქრის (21.7%) და მარცვლეულის (8.0%) კატეგორიებში.

მცენარეული ზეთის ფასმა 2022 წლის ივლისის შემდეგ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, რაც განპირობებული იყო პალმის, რაფსის, სოიოს და მზესუმზირის ზეთების ფასების ზრდით. ეს ზრდა გამოწვეული იყო პალმის ზეთის გლობალური წარმოების შემცირების შესახებ შეშფოთებით, სოიოს ზეთზე იმპორტის მაღალი მოთხოვნით და რაფსისა და მზესუმზირის ზეთების მიწოდების შემცირებით.

რძის პროდუქტების ფასების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო რძის ფხვნილზე, კარაქსა და ყველზე გლობალური მოთხოვნის ზრდით, დაბალი მარაგებისა და დასავლეთ ევროპაში სეზონური წარმოების შემცირების ფონზე.



წყარო: FAO, 2024

ვაჭრობის მიმოხილვა

საქართველოს მთლიანი ექსპორტი წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა. 2024 წლის იანვარ-ნოემბერში მთლიანმა ექსპორტმა 6,011 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 8%-ით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე (5,572 მლნ. აშშ დოლარი 2023 წელს). აგრარული ექსპორტიც გაიზარდა - 2023 წლის იანვარ-ნოემბრის 1,303 მლნ. აშშ დოლარიდან 1,545 მლნ-მდე 2024 წელს (19%-იანი ზრდა). აგრარული ექსპორტის ზრდის ტემპმა გადააჭარბა მთლიანი ექსპორტის ზრდას, რის შედეგადაც აგრარული პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 23.4%-დან 25.7%-მდე გაიზარდა.

იმპორტიც ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. 2024 წლის იანვარ-ნოემბერში მთლიანმა იმპორტმა 15,102 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2023 წლის 14,235 მლნ-თან შედარებით 6%-იანი ზრდაა. მაშინ როცა აგრარული ექსპორტი 19%-ით გაიზარდა, აგრარული იმპორტის ზრდა უფრო დაბალი - 9% იყო - 2023 წლის იანვარ-ნოემბრის 1,804 მლნ. აშშ დოლარიდან 1,969 მლნ-მდე 2024 წლის იანვარ-ნოემბერში. აგრარული იმპორტის წილი მთლიან იმპორტში მცირედით გაიზარდა 2023 წლის 12.7%-დან 13.0%-მდე 2024 წელს.





წყარო: საქსტატი, 2024
შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათსაც

საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელების ექსპორტს. ქართულ სპირტიან სასმელებზე საერთაშორისო მოთხოვნა გაიზარდა, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, 2018-2022 წლებში სპირტიანი სასმელების ექსპორტის დონე მერყეობდა: 2019 წელს (იანვარ-ნოემბერი) ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი 5.9%-ით შემცირდა 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (118.8 მლნ. აშშ დოლარიდან 112.3 მლნ. აშშ დოლარამდე). 2020 წელს ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი 3.6%-ით გაიზარდა, 2021 წელს – 21.6%-ით, რასაც 2022 წელს მოჰყვა ექსპორტის 11.3%-იანი კლება.

2023 წელს ექსპორტის ღირებულებამ რეკორდულ მაჩვენებელს – 176.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით 41.6%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2024 წლისთვის არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელების ექსპორტი კვლავ გაიზარდა და 270.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ახალი რეკორდული მაჩვენებელია. შესაბამისმა ზრდამ ამ პერიოდში 52.5% შეადგინა.



წყარო: საქსტატი, 2024
წყარო: ყველა წლის მონაცემი მოიცავს იანვარ-ნოემბრის პერიოდს

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა ცვლილებებს "გარემოს დაცვის შესახებ"

საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა ცვლილებებს "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში. ეს ცვლილებები ნერგავს სათბურის გაზების ემისიების ავტორიზაციის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის სისტემას. სამრეწველო და საავიაციო ოპერაციების კონკრეტულ სახეობებს მოეთხოვებათ ავტორიზაციის მიღება, რაც გულისხმობს მონიტორინგის გეგმის შემუშავებას და მის წარდგენას შესაბამის გამცემ ორგანოში.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/22811/

საქართველომ დაამტკიცა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენის გეგმა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დანერგა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენის გეგმა, სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კონსერვაციის პრაქტიკულ ნაბიჯებს. ბოლო ათწლეულებში ველური ცხოველებისა და მცენარეების მრავალი სახეობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამის საპასუხოდ შეიქმნა ეროვნული აღდგენის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დეტალურ, სახეობებზე მორგებულ სტრატეგიებს თითოეული პრიორიტეტული სახეობის აღსადგენად.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/22844/

საქართველო აზიის განვითარების ბანკთან პარტნიორობით იწყებს ლამის მდგრადი მართვისა და ხელახალი გამოყენების სტრატეგიას

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აზიის განვითარების ბანკთან (ADB) პარტნიორობით დაიწყო სტრატეგიული, ეროვნული ინიციატივა, რომელიც ფოკუსირებულია შლამის მდგრად მართვასა და ხელახალ გამოყენებაზე. პროექტს განახორციელებს იტალიური კომპანია IDROSTUDI SRL საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით. ერთწლიანი პროექტის მიზანია საქართველოს სპეციფიკურ მოთხოვნებზე მორგებული შლამის მართვის ყოვლისმომცველი გეგმის შექმნა, საპილოტე პროგრამის განხორციელების ჩათვლით.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/22836/

ISET — თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ავტორები: ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge; გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge
თათია ხიდაშელი tatia.khidasheli@iset.ge; მარიამ ლობჯანიძე m.lobjanidze@iset.ge